საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060105720265113

ბრძანება №-275

ქ. თბილისი **29 / ოქტომბერი / 2013 წ.**

მდინარე ნატანებზე („ქუთაისი-სენაკის“ მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოება) საჰაერო გადასასვლელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ'' საქართველოს კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს მდინარე ნატანებზე („ქუთაისი-სენაკის“ მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოება) საჰაერო გადასასვლელის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №54; 28.10.2013წ;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-მ უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№54; 28.10.2013წ.) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წერილი №504/01-28/გ; 11.10.2013წ; ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №54; 28.10.2013წ.

მინისტრი ხათუნა გოგალაძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6ა, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№54

28 ოქტომბერი 2013წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – მდ. ნატანებზე („ქუთაისი-სენაკის" მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოება) საჰაერო გადასასვლელის მშენებლობა და ექსპლუატაცია
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია". თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, კახეთის გზატკეცილი №21
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 15.10.2013წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – სს ,,საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"–ს მდ. ნატანებზე („ქუთაისი-სენაკის" მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოება) საჰაერო გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დოკუმენტაცია.

საპროექტო გაზსადენი მდებარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. გურიანთას სიახლოვეს, მდ. ნატანებზე „ქუთაისი-სენაკის" DN500 მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოების 45,8-46,2 კმ-ზე. გაზსადენი წარმოადგენს გურიისა და აჭარის გაზმომარაგების წყაროს. პროექტის თანახმად მდ. ნატანების ჭალაში საშენი მასალების მოპოვების და წყალდიდობების შედეგად მდინარის კალაპოტმა გადაიწია მარჯვნივ და გაწყვიტა არსებული გაზსადენის წყალქვეშა მონაკვეთი, რასაც მოჰყვა მილსადენის საყრდენებიდან გადაგდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონისთვის ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად დაგეგმილია მდ. ნატანებზე ძველი გადასასვლელის პარალელურად განხორციელდეს ახალი, დაახლოებით 517 მეტრი სიგრძის 500 მმ-იანი საჰაერო გადასასვლელის მშენებლობა.

როგორც დოკუმენტაციაშია აღწერილი, საჰაერო გადასასვლელის უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. ნატანები მოედინება ფართო, ბრტყელი დაბლობის ფარგლებში, რომელსაც გადაკვეთის უბანზე ჭალა პრაქტიკულად არ გააჩნია. კალაპოტის სიგანე გადაკვეთაზე დაახლოებით 375 მ-ია. გაზსადენის 337 მ მონაკვეთი მდებარეობს მდინარე ნატანების კალაპოტში. გაზსადენის საწყისი 120 მ ჭალის ზედა პირველ ტერასაზე მდებარეობს. ბოლო 60 მ მონაკვეთი მდინარის მარცხენა ნაპირზე შედის სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე სიმინდის ყანაში.

პროექტის მიხედვით ახალი საჰაერო გადასასვლელი იქნება არსებულ დაზიანებულ გადასასვლელზე უფრო გრძელი, ხოლო საყრდენი ბურჯები მიწაში გაცილებით უფრო ღრმად განთავსდება.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მილსადენის ძირითადი მახასიათებლებია: მილსადენის სიგრძე - 517 მ; მილსადენის გარე დიამეტრი - 508 მმ; მილის კედლის სისქე - 10.31 მმ; წნევის საანგარიშო მნიშვნელობა - 5.4 მგპა; კომპენსატორების რაოდენობა - 1; საყრდენების რაოდენობა - 16.

მდ. ნატანებზე გაზსადენის საჰაერო გადასასვლელი მოეწყობა ხიმინჯოვან საყრდენებზე. თითოეული საყრდენი მოეწყობა რკინა-ბეტონის შიგთავსისგან შემდგარ ერთ ნაბურღ-ნატენ ხიმინჯზე (ხიმინჯის თავზე რკინაბეტონით ფილით). ხიმინჯის დიამეტრი შეადგენს 0.6 მეტრს, სიგრძე არის 18 მეტრი, მინიმალური ჩაღრმავება გრუნტში შეადგენს 12 მეტრს.

საჰაერო გადასასვლელის შუაში, საყრდენებს შორის მოეწყობა ერთი П-ს მაგვარი კომპენსატორი. კომპენსატორის თარო იდება ორ საყრდენზე. ორ საყრდენზე მოხდება მილის უძრავი ჩამაგრება, ხოლო საჰაერო გადასასვლელის სხვა საყრდენებზე მილის ჩამაგრება იძლევა მისი მოძრაობის საშუალებას.

პროექტის თანახმად, გაზსადენის მიწისზედა მონაკვეთების ატმოსფერული კოროზიისაგან დაცვისათვის გათვალისწინებულია ალუმინის საღებავის გამოყენება ორ ფენად, სისქით 2-0.5 მმ. პროექტით ნაპირდამცავი ღონისძიებების გატარება არ არის გათვალისწინებული. საბურღი სამუშაოები იწარმოებს უშუალოდ მდინარის კალაპოტში და მდინარის ჭალის ზედა ტერასაზე. შესაბამისად, მშენებლობის შედეგად ნაპირების ეროზიული პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ამისა, გაზსადენის საექსპლუატაციო ორგანიზაცია განახორციელებს სისტემატურ დაკვირვებას საჰაერო გადასასვლელზე და საჭიროების შემთხვევაში, გაატარებს შესაბამის ნაპირდამცავ ღონისძიებებს.

პროექტის მიხედვით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნორმალური პირობების შესაქმნელად საჭიროა მდინარის ნაკადის გადაგდება. საპროექტო უბანზე მდინარის 375მ სიგანის კალაპოტის რელიეფი წარმოქმნის ორ ტოტს შუაში არსებული „კუნძულით". პირველ ეტაპზე გადაიკეტება მდინარის კალაპოტის მარცხენა ტოტი (გადასაკეტი ჯებირის სიგრძე 72 მ) და შესრულდება საყრდენების მოწყობის შესაბამისი სამუშაოები. შემდეგ გადაიკეტება მდინარის მარჯვენა ტოტი (გადასაკეტი ჯებირის სიგრძე 120 მ) და გაგრძელდება საყრდენების მოწყობის სამუშაოები. გადასაკეტად გამოყენებული იქნება გადასასვლელის სიახლოვეს არსებული რკინაბეტონის ბლოკები და მდინარის კალაპოტის და ჭალის კენჭნარი. წყლის გადაგდების სამუშაოების დასრულების შემდეგ პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგება მდინარის კალაპოტის და ჭალის პროფილი, ხოლო რკინაბეტონის ფილები დაბრუნდება პირვანდელ მდგომარეობაში.

გათვალისწინებულია საპროექტო გაზსადენის გასწვრივ 25 მ სიგანის სამშენებლო დერეფნის მოწყობა. სამუშაოების დაწყებამდე მოიხსნება და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა დასაწყობდება სამშენებლო დერეფნის ნაპირზე, წარეცხვისაგან დასაცავად გარს შემოევლება მიწიანი ტომრები. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, სამშენებლო ტექნიკის შეუფერხებლად გადაადგილებისთვის, მდინარის კალაპოტში მოხდება სამშენებლო დერეფნის მოსწორება და დატკეპნა. სამუშაოების დასრულების შემდეგ მოხდება კალაპოტის კონტურების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა.

პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობა არ არის გათვალისწინებული.

დოკუმენტაციის მიხედვით, წინასწარ არ არის განსაზღვრული სამშენებლო ბაზის ან მუშათა ბანაკის ადგილმდებარეობა ან მათი მოწყობის დეტალები, ასევე ობიექტზე სავარაუდოდ დასაქმებული იქნება 15-20 ადამიანი. წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით თანახმად, ყოველივე აღნიშნულს განსაზღვრავს მშენებელი კონტრაქტორი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებლის წინაშე ვალდებულია სამშენებლო ბაზის ან ბანაკის მოწყობისას დაიცვას გარემოსდაცვითი და სანიტარული ნორმები.

მიწისზედა გაზსადენის განთავსების გამო, გაზსადენის არსებობის განმავლობაში, შეუძლებელი გახდება მოსახლეობის მიერ იმ 3411 $მ^2$ ფართობის სრულფასოვნად გამოყენება, რომელიც აქამდე სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის

გამოიყენებოდა. ამის საკომპენსაციოდ, საქმიანობის განმახორციელებელი მოსახლეობისაგან შეისყიდის გაზსადენის საჰაერო მონაკვეთის განსათავსებლად საჭირო ფართობებს.

სამშენებლო ბაზაზე კანალიზაციის წყლების შეგროვება მოხდება ბეტონით მოწყობილ ორმოში ან პორტატული ტუალეტის რეზერვუარში და შემდგომი გატანა განხორციელდება ასენიზაციის მანქანებით.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საველე პირობებში შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შედეგები. აღნიშნული საველე გეოლოგიური კვლევების ჩატარების პერიოდში ბუნებრივი გაშიშვლებების აღწერის და მდინარე ნატანებზე ამჟამად მოქმედი საჰაერო გადასასვლელის პროექტირებისას განხორციელებული სამთო გამონამუშევრებიდან (ჭაბურღილები, შურფები) აღებული გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე, უბანზე გამოიყოფა 2 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი: სგე-I - თიხნარი ღია ყავისფერი, ძნელპლასტიკური, კენჭების და ხრეშის ჩანართებით (10%-მდე); სგე-II - კენჭნარი კაჭარის ჩანართებით (20-25%) და ქვიშა-ხრეშის შემავსებლით (15%).

სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის მიმდებარედ საშიში გეოლოგიური პროცესებიდან აღსანიშნავია მდინარის მარჯვენა ნაპირის ინტენსიური გარეცხვა - სიღრმითი ეროზია, რაც პროექტის თანახმად გამოწვეულია საკარიერო ობიექტების (ქვიშა-ხრეშის მოპოვება) სიახლოვით. წარმოდგენილ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სწორედ აღნიშნულმა პროცესებმა გამოიწვია ძველი საჰაერო გადასასვლელის მწყობრიდან გამოსვლა. ექსპერტთა აზრით საჰაერო გადასასვლელის ნგრევის მიზეზი, ასევე შესაძლებელია ყოფილიყო ჰიდროლოგიური პირობების გაუთვალისწინებლობაც, კერძოდ, იშვიათი უზრუნველყოფის წყალდიდობის და წყალმოვარდნების დროს წყლის მაღალი დონეების ($H_{2\%}$) და ნაკადის მაქსიმალური სიჩქარის უგულვებელყოფა.

დოკუმენტაციაში მოცემულია მდ. ნატანების მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება. შესრულებულია ჰიდროლოგიური გაანგარიშებები. მოცემულია მდინარე ნატანების სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები (ჰ/ს ნატანებისა და საპროექტო კვეთებში), დადგენილი დაკვირვების მონაცემების მიხედვით ანალოგის მეთოდით. წარმოდგენილია რეგიონალური ემპირიული ფორმულით დადგენილი მდინარე ნატანების წყლის მაქსიმალური ხარჯები.
მოცემულია მდ. ნატანების სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები (ნიშნულები) საპროექტო უბანზე. მოცემულია (საპროექტო გათვლებით) კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი და ადგილობრივი გარეცხვის სიღრმეები (ბურჯებთან).

დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში პროექტის ზეგავლენის ქვეშ ხვდება მდინარის იქტიოფაუნის წარმომადგენლებიც. ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია სამშენებლო სამუშაოების ჩატარება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, მდინარის ნაკადის გადაგდების ყველა შემთხვევაში მოხდება დამშრალ კალაპოტში დარჩენილი ყველა იმ თევზის მდინარეში გადაყვანა, რომელთა დაჭერაც შესაძლებელი იქნება.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების კორექტირებული სქემის მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონას.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოიქმნება, როგორც სახიფათო, ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ადგილობრივ დასუფთავების სამსახურს, რომელიც აღნიშნულ ნარჩენებს განათავსებს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

სახიფათო ნარჩენები წარმოიქმნება მცირე რაოდენობით, ძირითადად საღებავებისა და ბიტუმის ნარჩენები და სამშენებლო ტექნიკის ტექმომსახურების შედეგად დაგროვილი მასალა. აღნიშნული ნარჩენები გადაეცემა ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

გაზსადენის საყრდენების მონტაჟის პროცესში ბურღვის შედეგად ამოღებული გრუნტი და ქვა-ღორღი (დაახლოებით 4.5 $მ^3$ თითოეული საყრდენიდან) გაიშლება მდინარის კალაპოტში. დანარჩენი მყარი ინერტული მასალა გადატანილ უნდა იქნას უახლოეს განსათავსებელ ადგილას, რომელიც როგორც დოკუმენტშია აღნიშნული წინასწარ შეთანხმებული იქნება ადგილობრივი მმართველობის შესაბამის სამსახურთან; კლდოვანი ნამსხვრევების და მსხვილი ქვების განსათავსებლად (საჭიროების შემთხვევაში) შესაძლებელია გამომუშავებული (ლიცენზირებული) კარიერების გამოყენება შესაბამისი პირობების დაცვით.

პროექტში მოცემულია სამშენებლო უბანზე წყლისა და ნიადაგის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელი შემარბილებელი ღონისძიებები.

დოკუმენტაციაში მოცემულია საქმიანობით გამოწვეული გარემოს დაბინძურების სხვადასხვა რისკების განხილვა. წარმოდგენილია შესაძლო ავარიული სიტუაციები სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზაზე. განხილულია ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმის შემუშავების წინადადებები.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია გარემოზე პოტენციური ზემოქმედების წყაროები და ზემოქმედების სახეები, მშენებლობის ეტაპზე გარემოზე შესაძლო ზემოქმედებები და მათი შემარბილებელი ღონისძიებები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ექსპერტების მიერ გამოთქმული პირობები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნის III თავს.

III. პირობები

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია:

1. საქმიანობა განახორციელოს დოკუმენტაციით წარმოდგენილი სქემის და შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად (მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში);
2. სამშენებლო ბანაკის პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ ბანაკის აღწერილობასთან ერთად გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს გენ-გეგმა, სამშენებლო ბანაკის დატანით;
3. მშენებლობის დაწყებამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოადგინოს საინჟინრო-კვლევების შედეგები;
4. უზრუნველყოს პროექტის განხორციელების შედეგად მდ. ნატანების იქტიოფაუნაზე მიყენებული ზიანის შეფასება და შესაბამისი საკომპენსაციო ქმედებების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა;
5. შეიმუშაოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბიომრავალფეროვნებაზე (განსაკუთრებით იქტიოფაუნაზე) დაკვირვების საკითხები. მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული იქნას შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
6. სამშენებლო სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოს პროექტის ჰიდროლოგიურ გაანგარიშებათა პარამეტრების მკაცრი დაცვა, ვინაიდან მდინარის კალაპოტური პროცესები განუწყვეტლივ გრძელდება.
7. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და რეკულტივაცია განახორციელოს „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2005 წლის 27 მაისის №113 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად;
8. უზრუნველყოს მშენებლობის დროს სამშენებლო ტექნიკის შედეგად მდ. ნატანების სანაპირო ზოლის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა;
9. უზრუნველყოს მუდმივი მონიტორინგის განხორციელება გაზსადენის საჰაერო გადასასვლელის მდგომარეობაზე.

რეკომენდაცია: თუ მომავალში იგეგმება არსებული გაზსადენის დემონტაჟი, აღნიშნული უნდა განხორციელდეს მშენებლობასთან ერთად, გარემოზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, რათა არ მოხდეს მდინარის კალაპოტურ პროცესებზე ხელმეორე ჩარევა.

IV. დასკვნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"–ს მდ. ნატანებზე („ქუთაისი-სენაკის" მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოება) საჰაერო გადასასვლელის მშენებლობისა და ექსპლუატაციის დოკუმენტაციის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობებით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

<u>თამარ შარაშიძე</u>
(სახელი, გვარი)

_____ ბ.ა.
(ხელმოწერა)